ხაშურის მოამბე

№31 (232) 12 აგვისტო, ორშაბათი, 2019 წელი

პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს

რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა.

მათი საფლავები გვირგვინებით შეამკეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილემ ზურაბ როსებაშვილმა, მერის თანაშემწემ მერაბ ბარბაქაძემ, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა. გვირგვინით შეიმკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალიც.

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი "მხედრული მამაცობისთვის" გადაეცა, მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზე განისვენებს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა კაპრალმა გიორგი წიქარიშვილმა კი სამუდამო განსასვენებელი თბილისის ძმათა სასაფლაოზე ჰპოვა.

- აგვისტოს ომის გმირების სიმამაცე და თავდადება სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისთვის, - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ქვიშხეთსა და ოსიაურში გმირებისთვის პატივის მიგებისას.

საკრებულოს სხდომა

7 აგვისტოს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულომ ცვლილებები შეიტანა ადრემიღებულ რამდენიე განკარგულებასა და დადგენილებში.

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა, თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერს დაბა სურამის ტერიტორიული გენერალური გეგმის და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის შემუშავებაში დახმარების გაწევის მიზნით, ინიცირების წესით, საქართველოს მთავრობისადმი მიმართვის თაობაზე.(განკარგულება იხ. მე-3 გვერდზე)

ამავე სდომაზე, საკრებულომ ძალადაკარგულად ცნო 2017 წლის 1 მაისს მიღებული №35 განკარგულება „სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთვის, ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის ფარგლებში, ხაშურში, თამარ მეფის ქ. №11-ში, ინოვაციების ცენტრის განთავსების შესახებ".

სხდომაზე, საკრებულოს თანხმობით, სს „სილქნეტს" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან 20 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი.

სხდომაზე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების(მიწის ნაკვეთის) და უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმები.

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა მოისმენეს მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად. ამით საკრებულოს აგვისტოს გეგმიური სხდობა დასრულდა.

11 წელი აგვისტოს ომიდან...

ჩვენი გმირები!

კაპრალი გიორგი ზაზას ძე წიქარიშვილი

დაიბადა 1988 წლის 30 აგვისტოს ქ. ხაშურში. 1995-2004 წლებში სწავლობდა ხაშურის მე-5 საშუალო სკოლაში.

2006 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 2007 წლიდან ჯერ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-4 ქვეითი ბრიგადის მეტყვიამფრქვევე, შემდეგ კი მსუბუქი ქვეითი ათეულის საცეცხლე ჯგუფის მეთაური იყო. დაიღუპა 8 აგვისტოს, გმირულად, ქ. ცხინვალის დაცვისას. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია თბილისში, ძმათა სასაფლაოზე.

გიორგი წიქარიშვილი

კაპრალი ზაურ მურმანის ძე მახარაშვილი

დაიბადა 1986 წლის 27 ნოემბერს ოსიაურში. 2004 წელს დაამთავრა ოსიაურის საჯარო სკოლა. 2005 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 2007 წლიდან ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-4 ქვეითი ბრიგადის მეტყვიამრფქვევედ. 2008 წლის 7 აგვისტოს მივლინებულ იქნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. 2008 წლის 11 აგვისტოს, დაახლოებით 13 საათზე, გორი რაიონის სოფელ ფხვენისში განთავსებულ თავდაცვის ზღუდეზე, მოწინააღმდეგის მიერ ნასროლი საარტილერიო ჭურვის აფეთქების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ გადაეცა მედალი „მხედრული მამაცობისათვის".

დავით ბლიაძე

კაპრალი დავით ბუხუტის ძე ბლიაძე

დაიბადა 1985 წლის 10 მარტს ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში. 1991-1999 წლებში სწავლობდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქვიშხეთის საშუალო სკოლაში.

ზაურ მახარაშვილი

2004-2005 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 2007 წლის სექტემბრიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-4 ქვეითი ბრიგადის რიგებში საცეცხლე ჯგუფის მეთაურად. ზემო ნიქოზის მხრიდან განხორციელებული იერიშის დროს, მოექცა ალყაში. დაიღუპა მოწინააღმდეგის მიერ გახსნილი ინტენსიური ცეცხლის შედეგად. დარჩა მშობლები, ერთი და და ორი ძმა. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №360

2019 წლის 5 აგვისტო, ქ. თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის,22-ე მუხლის, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2019 წლის 12 აგვისტოდან 2019 წლის 28 დეკემბრამდე.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1500-ით.
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1220-ით.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1200-ით.
5. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 200-ით.
6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები,რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.
7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში,ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება, შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.
8. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდგომში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.
10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.
11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.
12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 12 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

მერის ბრძანება №1538

07 / აგვისტო / 2019 წ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე–20, 21–ე, 22–ე, 23–ე, 24–ე, 28–ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აგვისტოს № 360 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მოხდეს წვევამდელთა გაწვევა;
2. სამხედრო ძალებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;
3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში;
4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აგვისტოს № 360 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11-ე პუნქტის შესაბამისად, აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს-სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;
5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი გურასპაშვილი–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ბარბაქაძე–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე–შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე–საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი; კომისიის მდივანი:

ოლგა სიდიროპულო –ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აგვისტოს № 360 დადგენილების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან 2019 წლის 12 აგვისტოდან 2019 წლის 28 დეკემბრამდე გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;
7. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;
8. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;
9. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება № 69

2019 წლის 6 აგვისტო, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის შემუშავებაში დახმარების გაწევის მიზნით, ინიცირების წესით, საქართველოს მთავრობისადმი მიმართვის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქთმშენებლობის გეგმების შემუშავებაზე ინიცირების გადაწყვეტილება მიღებულია გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე. კერძოდ: ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დაბა სურამი კლიმატური კურორტია. მისი განსაკუთრებული ადგილმდებარეობა და სხვადასხვა ჰაერშენაკადების თანხვედრა ქმნის უნიკალურ მიკროკლიმატს, რასაც განსაკუთრებულად ხელს უწყობს დაბის ტერიტორიაზე მრავალწლოვანი ფიჭვნარისა და სხვა დენდროლოგიური კომპონენტების, რკინისა და გოგირდოვანი წყლების არსებობა. დაბის განვითარება ხორციელდება სანიტარიული დაცვის ზონებისა და შესაბამისი რეჟიმების გარეშე. კურორტს არ გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია. დაბის განვითარება მიმდინარეობს სანიტარიული დაცვის ზონებისა და შესაბამისი რეჟიმების გარეშე, მოუწესრიგებელია ადმინისტრაციული ცენტრი და საზოგადოებრივი სივრცეები, აუცილებელია, გაუმჯობესდეს არქიტექტურულ-ესთეტიკური იერსახე განსაკუთრებით ძველ უბნებში, არ არსებობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონები, გასათვალისწინებელია შეუსაბამო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა, სატრანზიტო ნაკადები და სამომავლოდ სატრანსპორტო ქსელის მიმართულების ცვლილება, განაშენიანების განვითარებისათვის შეზღუდული ტერიტორიული რესურსების ფონზე მზარდი სამშენებლო საქმიანობები. ამდენად, კურორტის განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი და ღირებული ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, დამსვენებლთა და ტურისტული ნაკადების ზრდადობას. აქედან გამომდინარე, საჭიროა ეთხოვოს საქართველოს მთავრობას გაგვიწიონ დახმარება ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავების მიზნით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის „ე.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის 1-ლი და 2-ე პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 141-ე მუხლის მე 3-ე და მე-4 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის 260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობისთი გეგმების შემუშავების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. მიეცეს თანხმობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს მიმართოს ინიცირების წესით საქართველოს მთავრობას, რათა დაავალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შეიმუშაოს ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ტერიტორიის გენერალური გეგმის და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის პროექტი, შემდგომში მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დასამტკიცებლად;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე (www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ფოლკლორისტები - ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

2 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ფოლკლორულ ექსპედიციაში მონაწილე სტუდენტები უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ, ფილოლოგიის დოქტორ, ფოლკლორისტ, ხვთისო მამისიმედიშვილთან ერთად ესტუმრნენ. სტუდენტებმა მოისმინეს ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებსა და სერვისებზე, დაათვალიერეს წიგნადი ფონდი და დიდი ინტერესით გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების შესახებ ფოლკლორულ მასალებს. შემდეგ ოკუპაციის მუზეუმში გადაინაცვლეს და გაიხსენეს ისტორია, რომელსაც მუზეუმი ინახავს

ბეჯამში მისასვლელი გზა მოასფალტდება

ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში, ბეკმისა და გვერდისუბნის დასახლებებში გზის მოასფალტებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია. ემ ეტაპზე მიმდინარეობს გზის მოსწორება.

„აღნიშნული პროექტით 1500- ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე და დამსვენებელი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, პროექტი ორწლიანია, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ჯამში 960 555 ლარს ითვლის.

სურამში, მდინარე სურამულაზე, ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა

დაბა სურამში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა.

აღნიშნული პროექტის შესაფასებლად, ადგილზე იმყოფებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, ხიდი წლების განმავლობაში ავარიული იყო, პროექტის განხორციელების შედეგად კი მოსახლეობას კომფორტულად გადაადგილების საშუალება მიეცემა.

ხიდის რეაბილიტაცია მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რისთვისაც 9 381 ლარია გამოყოფილი.

გაცრეცილი ფოტოები

ჩვენი მუდმივმოქმედი რუბრიკა ,,გაცრეცილი ფოტოები", მცირე პაუზის შემდეგ, კვლავ უბრუნდება გაზეთის ფურცლებს. დღეს ექვს ფოტოსურათს ვთავაზობთ მკითხველს. ეს ფოტოები ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიის პატარა ფრაგმენტებია, რომელიც, რა თქმა უნდა, საინტერესოა და სწორედ ასეთი სურათების ერთობლიობა ქმნის ისტორიის მთლიან სურათს .

რედაქცია მადლობას უხდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მასალის მოწოდებისთვის.

ეს ფოტო 1955 წელსაა გადაღებული და მასზე ხაშურის მედდების სკოლის მეორე კურსის სტუდენტები არიან ასახულნი. მეორე რიგში (მარცხნიდან) სხედან ჯონდო მოსიძე, ბესო ძნელიძე და ცქიტიშვილი(ექიმი).

ძალიან საინტერესო ფოტოა. ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოთ გასული საუკუნის ოციანი წლებია. მისი წარწერა კი გვაუწყებს, რომ სურათზე სიმონ და ერმონია ბერაიების ქორწილის მეორე დღეა. ფოტო იმითაცაა საინტერესო, რომ ამ პერიოდში, მასაში, ეროვნულ სამოსს უკვე ევოპულიც შეერია, რასაც სურათზე გამოსახული პიროვნებების ჩაცმულობაც ადასტურებს.

გასული საუკუნის 30-იანი წლები. ფოტოზე ხაშურელ პედაგოგთა ჯგუფია, რომელთა ღვაწლი მართლაც დიდია. მათ, ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყეს ხაშურში სასკოლო ცხოვრების აღორძინება და თაობებს მისცეს განათლება. სამწუხაროდ, ყველას ვინაობა ვერ დგინდება. მხოლოდ ორი პედაგოგის დადგენა მოხერხდა - მარცხნიდან პირველი ზის ბ. ძნელაძე, მარჯვნიდან პირველი - შურა კვაჭაძე.

ეს ფოტოსურათი დასტურია იმისა, რომ ხაშურში თეატრალურ ცხოვრებას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. სურათი დაახლოებით 1910-1915 წლებშია გადაღებული და მასზე ხაშურელი სცენისმოყვარულები არიან ასახულნი. მარჯვნიდან პირველი (სკამზე ზის) - ს. ნოზაძე (ფონტეფო); ცენტრში - მოსე კვალიაშვილი; მის გვერდით - იოსებ ფანცულაია; ქვემოთ კი (ზის) ნიკოლოზ სიხარულიძე (სამწუხაროდ, სახე ოდნავ წაშლილია).

ეს ფოტოსურათი კი აშკარად ნოსტალგიას გამოიწვევს ჩვენს მკითხველში, მასზე ზემო სერის კულტურისა და დასვენების პარკის ერთი მონაკვეთი ჩანს. სამწუხაროა, რომ უნიკალური პარკიდან დღეს, ფაქტობრივად, არაფერი დარჩა. არადა, 80-იან წლებში იგი თავისი არსით მართლაც უნიკალური იყო. თუნდაც იმით რომ საბავშვო რკინიგზა, მხოლოდ სამი იყო მთელი კავშირის მასშტაბით (ერთი-თბილისში) და მათ შორის ხაშურში.

900-იანი წლები. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყნის დიდ ქალაქებში ვაჭართა გილდიები იქმნებოდა. გამონაკლისი არც ხაშური ყოფილა და ფოტოზე სწორედ ხაშურელ ვაჭართა გილდიის წევრები არიან ასახულნი. მათგან მხოლოდ ორია დადგენილი. ცენტრში სხედან: ი.ძნელაძე და ასლან ომიაძე (ცნობილი ალექსანდრე ომიაძის მამა)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30)

ყელეთი – სოფელი, მდებარეობს მდინარეების - მტკვრისა და ძამის - წყალგამყოფი ყელეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზ.დ. 890 მ. ხაშურიდან დაშორებულია 16 კილომეტრით, შედის წრომის სასოფლო საკრებულოში. დიდი და პატარა ყელეთის ძველი სახელწოდებაა.

ყელეთი ისტორიული საციციანოს შემადგე-ნლობაში შედიოდა და ციციშვილების კუთვნილ სოფელს წარმოადგენდა. სწორედ, ამ გვართან დაკავშირებულ დოკუმენტებში მოიხსენიება იგი. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტში, რომელიც ციციშვილების გაყრის საქმეზე განჩინებას წარმოადგენს და თარიღდება 1664-1673 წლებით, მოიხსენიება ყენეთი (ყელეთი). დოკუმენტში ნათქვამია: „მისცა ფარსადან საუარესოდ ციცის და ქაიხოსროს ლომიტაშვილი ხუცესი, დღეს რისაც მამულის მქონე იყოს ყენეთს“.

XVIII ს-ის დასაწყისის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ყელეთში 3 კომლი ცხოვრობს.

1728 წელს ყელეთიდან თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში დაფიქსირებულია 22 კომლი, რომელიც იხდის ყველა საოსმალო გადასახადს 12880 ახჩის ოდენობით.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს ყელეთს და დატანილი აქვს რუკაზე. იოანე ბატონიშვილიც „ქართლ-კახეთის აღწერაში“ გვერდისძირის სოფლებს შორის აფიქსირებს ყელეთს მოსახლეობის გარეშე. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის მანძილზე, საციციანოს ამ მხარის სოფლების მსგავსად, ყელეთმაც არაერთხელ განიცადა ლეკთა თავდასხმები, რისი შედეგიც უნდა იყოს სოფლიდან მოსახლეობის აყრა და წასვლა.

XIX ს-ის დასაწყისიდან აქ სახლდებიან იმერეთიდან გადმოსული ქართული მოსახლეობა, აგრეთვე, ოსები.

1886 წლის აღწერით, ყელეთში 55 კომლი მოსახლეა (246 კაცი და 201 ქალი, სულ 447 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, აქ ქართველია 17 კომლი (96 კაცი და 65 ქალი), ხოლო 38 კომლი ოსი (150 კაცი და 136 ქალი).

ყელეთში სახლობენ გვარები: გაგიშვილი, გასიშვილი, იკოშვილი, კაბულაშვილი, ფილიშვილი, ქოქოევი, ჩიბირაშვილი, ხუციშვილი, ჯეირანაშვილი, ჯიოშვილი (დიდი ყელეთი), გრიგალაშვილი, კაბერაშვილი, კახულაშვილი, ლომიძე, შუბითიძე, წიქარიშვილი, ხუციშვილი (პატარა ყელეთი).

სახელწოდება ნაწარმოებია –ეთ სუფიქსით, რომელიც გეოგრაფიულ სახელებში გვხვდება. -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ფუძეა ყელ-. ს. ს. ორბელიანის მიხედვით, ყელობა წვიმა-ხშირობაა, წვიმრიანობაა.

ყელეთში მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლია შემორჩენილი. ესენია წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ეკლესიები, წვერის საყდარი, კოშკი. ყველა ეს ძეგლი გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ყიფიანთუბანი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ.დ. 800 მ. ხაშურიდან დაშორებულია 8 კმ-ით, ტეზრიდან (უახლოესი რკინიგზის ბაქანი) – 1 კმ-ით, შედის ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ მხარეში ასეთი დასახელების სოფელს არ იცნობენ. არც ქართულ ისტორიულ თუ ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1865 წელს ყიფიანთუბანში 12 კომლი გლეხი სახლობს (5 სახელმწიფო და 7 დროებით ვალდებული). 1886 წლის აღწერით, კი აქ 28 კომლია (102 კაცი და 67 ქალი, სულ 169 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

სახელწოდება მომდინარეობს ყიფიანების გვარიდან, რომლებიც აქ სახლობდნენ და აბაშიძეების აზნაურებს წარმოადგენდნენ (შეადარეთ: სავანისუბანი, რუსაანთუბანი). მიღებულია სიტყვათშეერთებით. მსაზღვრელი „ყიფიანთ“-ი მრავლობით რიცხვშია, ხოლო საზღვრული–უბანი, მხოლობით რიცხვში.

ყიფიანთუბანში სახლობენ გვარები: აგიაშვილი, გაჩეჩილაძე, გელაშვილი, გერმანაშვილი, გვარამაძე, გუგბერიძე, დვალიშვილი, კიკაძე, ლეკიშვილი, ლომიძე, ლომსაძე, მარნაძე, ტყემალაძე, ჩადუნელი, ცუცქირიძე, ხაჩიძე...

ყიფიანთუბანში შემორჩენილია ორი ეკლესიის ნანგრევი, რომლებიც ამაღლების სახელს ატარებენ.

ყობი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფ. წაღვლის ჩრდილოეთით, შედის წაღვლის სასოფლო საკრებულოში.

აქ აღმოჩენილია უძველესი ადამიანის ქვის იარაღები, რომელიც ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ყობს არ იცნობენ. არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

აქ სახლობდა ოსური მოსახლეობა. სოფელი მოიშალა XX საუკუნის 90–იან წლებში.

შვლისყური – იხ. შლუყური

შინდარა – ადრინდელი სოფელი, ამჟამად ხაშურის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს მის ჩრდილო-დასავლეთით,

ქართული ისტორიული მწერლობა იცნობს, ხშირად მოიხსენიება ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში.

პირველად გვხვდება ჟამთააღმწერელთან 1260 წლის მოვლენებთან დაკავშირებით. მის სანახებში მოხდა ბრძოლა მონღოლებსა და აჯანყებულ ქართველებს შორის. არღუნ-ნოინი დგას შინდარაში „არღუნ დადგა შინდარას“ – აღნიშნავს ჟამთააღმწერელი.

დოროთეოზ კათალიკოსი XVI საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში იტრიის ეკლესიას სწირავს აქ მაცხოვრებელ რამდენიმე გლეხს: „შინდარას სვიმონა და მისნი შვილნი და მომავალნი ბუილაურის მამულითა მთლად. კიდევე შინდარას მარგუელაშვილი ზარასპი, მისის შვილითა და მომავლითა და მესხიურის მამულითა მრთლად“.

1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში აქედან დაფიქსირებულია 18 კომლი (ქიტიაშვილი, კვახიაშვილი (2), სვიმონაშვილი, ბედინაშვილი (3), ლომინაშვილი (4), მაზაძე, კუსრაძე, ბოლოკაძე და ნიქოზელი (4).

შინდარაში 1728 წელს ცხოვრობს 83 კომლი, რომელიც იხდის ყველა საოსმალო გადასახადს 5000 ახჩის ოდენობით.

ვახუშტი ბატონიშვილი, სურამის წყლის ხეობის აღწერის დროს, მოიხსენიებს შინდარას. ასევე მოიხსენიებს იოანე ბატონიშვილიც. მისი მიხედვით XVIII ს-ის 90-იან წლებში შინდარაში მოსახლეობა არ ჩანს. მის „აღწერაში“ შინდარა დაფიქსირებულია შინდისის ფორმით.

შინდარას ხელმეორედ დასახლება დაიწყო XIX საუკუნიდან და მოგვიანებით იგი ხაშურის ერთ-ერთ უბნად იქცა.

სახელწოდება ნაწარმოებია –არ სუფიქსით და ამ შემთხვევაში სიმრავლესა თუ კრებითობაზე მიგვანიშნებს. მცენარეული (შინდი) წარმოშობის სახელია და მიგვანიშნებს, რომ აქ მრავლად არის გავრცელებული.

ამავე სახელწოდების სოფელია ყორნისის რაიონში, ხოლო გარდაბანისა და გორის რაიონებში არის შინდისი.

შინდარაში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, რომელიც თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით, მას ბერძნების ეკლესიასაც ეძახიან.

შლუყური – ნასოფლარი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ქართულ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება მშვლისყურის ფორმით.

ვახუშტი ბატონიშვილი მშვლისყურს იცნობს და დატანილი აქვს რუკაზე. იოანე ბატონიშვილი გვერდისძირის სოფლების აღწერისას აფიქსირებს მშვლისყურს, თუმცა, მის დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

1728 წელს შლუყურში საკმაოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობა ჩანს. თბილისის ვილიაეთის დიდ დავთარში, აქედან დაფიქსირებულია 9 კომლი. მიწაზე გადასახადს 50 ახჩა შეადგენს. დანარჩენი გადასახადები - ისფინჯი, გადასახადი ცხვარზე, მიწაზე თაფუს გადასახადი, სკაზე, ერბოზე, ღორზე, ბადიჰავას, ბეითალმალი, ამე ვე ხასეს გადასახადები კი შეადგენს 3000 ახჩას.

1865 წელს მშვლისყურში 10 კომლი გლეხი სახლობს (4 სახელმწიფო და 6 დროებით ვალდებული). 1886 წლის აღწერით კი, აქ 41 კომლია (153 კაცი და 128 ქალი, სულ 281 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, მთლიანად ქართულია.

1925 წლისათვის მშვლისყურში 46 კომლი მოსახლე იყო. აქ სახლობდნენ გვარები: ციცვიძე, მამიაშვილი, ზაზიკაშვილი, ცხოვრებაშვილი, კუპრაძე, ქიმერიძე, ბლიაძე...

მშვლისყურის მოსახლეობა XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გადმოასახლეს ხაშურში და სოფელიც მოიშალა.

სახელწოდება მშვლისყური სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მსაზღვრელი აქ არის მშველი, შველი, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში დგას, ხოლო საზღვრული ყური – სახელობით ბრუნვაში, ორივე არსებითი სახელია.

როგორც ჩანს, ძველმა სახელწოდებამ–მშვლისყური, მოგვიანებით განიცადა ცვლილება, რაც XX საუკუნის დასაწყისის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის ზოგიერთ საბუთში, მაგალითად, მიწის ნასყიდობის დოკუმენტებში, დაფიქსირებულია ძველი სახელწოდებით. ხოლო შემდეგ უკვე გვხვდება შლუყურის ფორმით. ძველ სახელწოდებას ჩამოშორდა „მ“, ამოვარდა „ვ“, „ის“ მაგივრად გაჩნდა „უ“ და მივიღეთ დღევანდელი სახელწოდება შლუყური.

შლუყურში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნეშია აგებული.

შოლისპირი – ნასოფლარი, სახელწოდება იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მდინარე შოლის სანაპიროზე იყო. მდებარეობს ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბატონიშვილს სოფელი შოლისპირი რუკაზე ქვიშხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე შოლის მარცხენა სანაპიროზე აქვს დატანილი. მდ. შოლა დღეს ქვიშხეთში მოედინება და მდ. მტკვარს უერთდება.

სოფელი შოლისპირი ქართულ ისტორიულ წყაროებში XIII საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით გვხვდება. კერძოდ, ჟამთააღმწერელთან, ვახუშტი ბატონიშვილთან. აქ 1260 წლის დეკემბერში მოხდა ბრძოლა ქართველებსა და მონღოლთა მოწინავე რაზმს შორის, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს, თუმცა შემდეგ შინდარაში დამარცხდნენ.

შოლისპირიდან ვახტანგ VI-მ გამოიყვანა სარწყავი არხი. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „შოლის პირიდამ გაიტანა ჟ-დ მეფემან ვახტანგ რუი, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო და ჰყო წისქვილნი და სმენ პირუტყუნი“.

აღნიშნული სარწყავი არხის კვალი დღესაც შეიმჩნევა. იგი ხაშურშიც მოედინებოდა და მას მოსახლეობა შოლას ეძახდა.

შოლისპირი აბაშიძეებს ეკუთვნოდა.

აქ, 1715 წლისათვის, რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით, 16 კომლია. შოლისპირში სახლობენ შემდეგი გვარები: მდივანი, ღონღაძე, ტაბატაძე (2), ჭაბუკაძე, ოსაძე (3), კილაძე, თეთროძე, გედაძე, ბეჟანიშვილი (4) და ხიზანიშვილი.

შოლისპირი XVIII საუკუნის ბოლოს კვლავ მოიხსენიება იოანე ბატონიშვილის „აღწერაში“. ამ დროისათვის აქ მოსახლეობა არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უკვე ნასოფლარია, რომელიც შემდეგ, XIX საუკუნეში ქვიშხეთის ერთ-ერთი უბანი გახდა.

სახელწოდება სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მსაზღვრელი – შოლა და საზღვრული – პირი, ორივე არსებითი სახელია.

ჩორჩანა – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ლოპნისწყლის მარჯვენა მხარეს (ფცის ფრონეს მარჯვენა შენაკადი) ზ. დ. 900 მ, ხაშურიდან დაშორებულია 33 კმ-ით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 22 კმ-ით. შედის წაღვლის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ მხარეში ასეთი დასახელების სოფელს არ იცნობენ. არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 27 კომლი მოსახლეა (104 კაცი და 76 ქალი, სულ 180 კაცი), რომლებიც, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

სახელწოდება ნაწარმოებია – ან სუფიქსით.

ჩორჩანაში სახლობენ გვარები: გელაშვილი, ლომიძე, მულაძე, სამხარაძე...

ახალგორისა და ადიგენის რაიონებში არის სოფელი - ჩორჩანი.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ცხრამუხელი ხეოლოვანი, რომელიც საოცრებებს ქმნის

ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ხშირად დამინახავს გასაყიდად გამოტანილი დეკორატიული ურემი, რომელიც ნამდვილი ურემის სრული ანალოგია. ძალიან მაინტერესებდა, ვინ იყო ადამიანი, ვინც ამ მივიწყებულ საქმეს სიცოცხლეს უბრუნებდა. ინტერესი ინტერესად რჩებოდა, სანამ შემთხვევით არ გავიგე ამ ოჭროსხელება ადამიანის შესახებ. მალხაზ ბლიაძე ცხრამუხაში ცხოვრობს, მასთან სტუმრობისას, ისეთ სამყაროში მოვხვდით, მხოლოდ ურემზე სასაუბროდ ვერ მოვცდებოდით. იმ ემოციაზე მინდა მოგიყვეთ, რომელიც ეზოს კარს მიღმა გველოდა. ღობის ნაცვლად ქონგურებიანი გალავანი, ურმის თვლები ბრეგად, მცირე ზომის ქვემეხები, ურმები-ეს მცირე მაწილია

იმის, რასაც ადამიანების გაოცება ნამდვილად შეუძლია. გარდა ამისა, ბატონი მალხაზი, საოჯახო ტიპის სასტუმროს გაკეთებასაც აპირებს, ხოლო ბეკამში - აგროტურიზმის კერის მოწყობას. უფრო დეტალურად, ამ საოცრებების ავტორისგან შევიტყობთ:

–დაახლოებით, ექვსი წელია ხაშურიდან ცხრამუხაში გადმოვედით საცხოვრებლად. ჩვენი სახლი სხვადასხვა კომერციული მიზნებისთვის გამოვიყენეთ და დავიწყეთ ისეთი ადგილის ძებნა, რომელიც ქალაქთანაც ახლოს იქნებოდა და თან მომცემდა იმის შესაძლებლობას, რომ ჩემი საქმე მეკეთებინა. სწორედ ეს ადგილი შევარჩიე. 2005 წლიდან მშენებლობები გვაქვს ოჯახს, ამ პროცესში მეც ძალიან ბევრი რაღაც ვისწავლე და დღეს დამოუკიდებლად შემიძლია ბევრი რამის კეთება, გემოვნებაც დამეხვეწა. ეს ადგილი, სადაც ახლა ვცხოვრობთ, ძალიან განსხვავდება პირვანდელი იერსახისგან. ეს კედელი, რომელიც ქონგურებს ჰგავს, რეალურად ღობე იყო. არ დამიგეგმავს წინასწარ, კეთების პროცესში მივიღე ეს ფორმა. ეს კედელი, ბევრი რამის შთაგონებად იქცა. ძალიან გვინდა, რომ საოჯახო ტიპის სასტუმრო გავაკეთოთ.

- ეს ყველაფერი, რასაც თქვენს ეზოში ვხედავთ, როგორც ვიცი, მხოლოდ თქვენი გაკეთებულია და ამაში სხვა არავინ მონაწილეობს.

–დიახ, ყველაფერს ჩემი ხელით ვაკეთებ, დამხმარეების გარეშე. ერთი პატარა ხერხი მაქვს, რაზეც ვმუშაობ. კეთების პროცესი ძალიან საინტერესოა და დიდ სიამოვნებას ვიღებ. არასდროს ვიცი, რა გამოვა. ეს ჭაღი, რომელსაც ხედავთ, საკმაოდ რთული სამუშაო იყო, ესაა ურმის ბორბალი, ნათურებით, რომელიც ძალიან მოუხდა ინტერიერს.

- ურმის და ქვემეხის კეთების იდეა როგორ გაჩნდა?

–ჭაღის კეთებამ, ურმის კეთებამდე მიმიყვანა, ამის შემდეგ კი ქვემეხი გავაკეთე, რომელიც ფოიერვერკს ისვრის. ოთხი გავაკეთე და ოთხივე კახეთში გავყიდე, მოთხოვნა ძალიან დიდია, სამწუხაროდ, ვერავინ დავაინტერესე, რომ დამხმარე მყოლოდა, მხოლოდ მე ვერ ავუდივარ საქმეს, საკმაოდ შრომატევადია. გული მწყდება, რომ ამ საქმეს მთელ დროს და ენერგიას ვერ ვუთმობ.

- როგორც ვიცი, სასტუმროს აშენებას აპირებთ, რომელიც აგროტურიზმის კერადაც იქცევა...

–ჩემი შვილი მეღვინეობაზე სწავლობს, ამან მოიტანა იდეა, რომ გვინდა საოჯახო ტიპის სასტუმრო გავაკეთოთ, ბეკამში ვიყიდე მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვაპირებ ვენახის გაშენებას, იქვე გავაკეთებ საოჯახო ტიპის სასტუმროს, რომელიც საოცარ ადგილას იქნება, ვფიქრობ, დაინტერესდებიან. ბევრი გეგმა მაქვს, რომელსაც ეტაპობრივად განვახორციელებ, თუმცა, საოჯახო სასტუმროს გაკეთება, შორი პერსპექტივა არაა, ჩემი გათვლით, ორ წელში, უკვე მუშაობას დავიწყებთ

- საუბარში ახსენეთ, რომ საოჯახო ტიპის სასტუმროს გაკეთებას ცხრამუხაში, თქვენივე სახლშიც აპირებთ...

–ამ ეტაპზე ეზოს კეთილმოწყობით ვარ დაკავებული. ახლა პატარა ჩანჩქერს ვაკეთებ. მინდა, რომ ეზოც ავითვისო, როდესაც სასტუმროს სახეს მივცემ, ეზოში პატარა კაფე

იქნება, სიმწვანეებით, სადაც არა მხოლოდ განტვირთვას შეძლებენ, არამედ, რომანტიულ გარემოსაც მოიწყობენ ადამიანები. რამდენიმე კოშკის აშენებას ვაპირებ ქართული აგურით, ანუ, იქნება ძველისა და თანამედროვე ინტერიერის სინთეზი, რომელიც ორივე სტილის მოყვარულებს დააკმაყოფილებს.

- ოჯახის წევრები თუ არიან ჩართული ამ პროცესებში?

–ოჯახის წევრები ძალიან მეხმარებიან, თავიანთი დამოკიდებულებით ჩემი საქმის მიმართ, ძალიან მოწონთ, რასაც ვაკეთებ.

- ურმების და ქვემეხების თემას რომ დავუბრუნდეთ, ბაზარზე მოთხოვნილება როგორია?

–ყველა კლიენტთან მაქვს კომუნიკაცია, ვიცი, რომ მოთხოვნილება დიდია. როგორც უკვე ვთქვი, ამ ეტაპზე, დროის უქონლობის გამო, ვერ ვახერხებ, ამ საქმით დავკავდე ბოლომდე, თორემ რეალიზება ნამდვილად არ გამიჭირდება, ამიტომაც ვუწოდე ამ საქმეს სიბერის საქმე.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.